მიგრანტის პირველი ნაბიჯები

სახელმძღვანელო

რა უნდა იცოდეს ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყანაში გამგზავრების მსურველმა

მიგრანტის პირველი ნაბიჯები

სახელმძღვანელო

2017

სახელმძღვანელო მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ მიერ, პროექტის „პარტნიორობა მიგრანტთა უფლებებისთვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „ღია საზოგადოების ფონდების“ ფინანსური მხარდაჭერით.

სახელმძღვანელო შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან თანამშრომლობით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ „სიდა“.

მიგრანტის პირველი ნაბიჯები

სახელმძღვანელო

რა უნდა იცოდეს ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყანაში გამგზავრების მსურველმა

შინაარსი

1. ევროკავშირი 9
1.1. მოკლედ ევროკავშირის შესახებ.....9
1.2. ევროკავშირის ღირებულებები.....10
1.3. ევროკავშირის ინსტიტუტები 10
1.4. ევროზონა 12
1.5. ევროკავშირის დევიზი 12
1.6. ევროპის დღე 12
2. ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნები 13
2.1. ევროკავშირისა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები 13
2.2. შენგენის სივრცე 20
3. მიგრანტის პირველი ნაბიჯები 21
3.1. რა უნდა ვიცოდეთ გამგზავრებამდე.....21
3.1.1. სავიზო მოთხოვნები.....21
3.1.2. მოკლევადიანი ვიზიტი – უვიზო მიმოსვლა 21
3.1.3. ხუთი ფაქტი ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ მიმოსვლის შესახებ.....22
3.1.4. ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესვლის პირობები 23
3.1.5. ევროკავშირში/შენგენში გრძელვადიანი ყოფნა 24
3.1.6. საჭირო ფინანსური რესურსი 25

3.1.7. თან წასაღები ნივთები და დოკუმენტები.....26
3.1.8. რას გულისხმობს სამგზავრო ინფორმაციისა და ავტორიზაციის ევროპული სისტემა (ETIAS)?...26
3.2. გამგზავრება.....28
3.2.1. ბილეთის შეძენა 28
3.2.2. მგზავრობისას გასათვალისწინებელი წესები....29
3.2.3. საზღვრის გადაკვეთა და საბაჟო წესები 30
4. ცხოვრება ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში.....33
4.1. საცხოვრებელი ადგილი.....33
4.2. დასაქმება 34
4.3. შრომითი ექსპლოატაციის საფრთხე.....36
4.4. კვება 39
4.4.1. სასურსათო მაღაზიები 39
4.4.2. ფერმერთა ბაზრები.....39
4.4.3. სწრაფი კვება და დაბალფასიანი რესტორნები, საკვების თან წაღების შესაძლებლობით.....40
4.4.4. ეკონომიური რესტორნები.....41
4.5. გადასახადები 42
4.6. სამედიცინო მომსახურება და ფარმაცია.....43
4.6.1. ჯანმრთელობის დაზღვევა 43
4.6.2. ფარმაცია.....44
4.7. ტრანსპორტი და გადაადგილება 45
4.7.1. საზოგადოებრივი ტრანსპორტი 45

4.7.2. ავტომობილი.....46
4.8. საბანკო მომსახურება და ფულადი გზავნილები..48
4.9. საფოსტო გზავნილები, ამანათები 48
4.10. მომხმარებელთა უფლებები 50
4.11. თავისუფლება და უსაფრთხოება.....51
4.12. დაბრუნება და რეინტეგრაცია.....53
4.12.1. დაბრუნების სახეები 53
4.12.2. დასაბრუნებლად საჭირო საბუთები.....53
4.12.3. დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო
დახმარების სახელმწიფო პროგრამა.....54
4.13. ეს საინტერესოა 57
TAX FREE & REFUND – პროდუქციაზე გადახდილი
თანხის ნაწილის დაბრუნება 57
5. სასარგებლო ინფორმაცია 61
5.1. საქართველოს საკონსულო დაწესებულებები
ევროკავშირისა და ევროპის თავისუფალი
ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებში 61
5.2. საგანგებო სიტუაციებში დახმარების მიღება 64
5.3. სასარგებლო ბმულები 68
5.3.1. ევროკავშირის შესახებ.....68
5.3.2. საგანმანათლებლო პროგრამებისა და
სტიპენდიების შესახებ 68

1. ევროკავშირი

1.1. მოკლედ ევროკავშირის შესახებ

ევროკავშირი არის ევროპის 28 ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობისა და წევრი ქვეყნების ხალხთა კეთილდღეობის ხელშეწყობას, თავისუფალი და უსაფრთხო სივრცის შექმნას.

ევროპის ქვეყნების გაერთიანების იდეა რეალობად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქცა: 1951 წლის 18 აპრილს დაარსდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (European Coal and Steel Community), რომელშიც გაწევრიანდა ექვსი სახელმწიფო: ბელგია, დასავლეთ გერმანია (გფრ), იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და საფრანგეთი. გაერთიანების თავდაპირველი მიზანი ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა იყო – წევრი ქვეყნები ერთმანეთზე ეკონომიკურად დამოკიდებულნი ხდებოდნენ, რაც სამომავლო კონფლიქტების პრევენციას ემსახურებოდა. 1957 წლის 25 მარტს ხელი მოეწერა რომის ხელშეკრულებას, რამაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (European Economic Community) ჩამოყალიბებას. იმავე დღეს გაფორმდა ხელშეკრულება ატომური ენერგიის ევროპული გაერთიანების – „ევროატომის“ (European Atomic Energy Community) – დაფუძნების თაობაზე.

1967 წელს, ხსენებული ორგანიზაციების აღმასრულებელი ორგანოები – კომისია და საბჭო – გაერთიანდა ერთ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“, ხოლო 1992 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულებით, ევროკავშირი ეწოდა. მოგვიანებით, 1995 წელს, ევროკავშირს სამი წევრი შეემატა – ავსტრია, ფინეთი

და შვედეთი, 2004 წელს კიდევ ათი, ხოლო 2007 წელს – ბულგარეთი და რუმინეთი. უკანასკნელად, 2013 წელს, ევროკავშირში გაწევრიანდა ხორვატია.

1.2. ევროკავშირის ღირებულებები

ევროკავშირი ეფუძნება შემდეგ ძირითად ღირებულებებს: ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის, მათ შორის, უმცირესობების უფლებების დაცვა.

1.3. ევროკავშირის ინსტიტუტები:

ა) ევროპის პარლამენტი

შედგება „კავშირის მოქალაქეების წარმომადგენლებისგან“. წევრებს ირჩევენ 5 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე. ევროპალამენტის შემადგენლობაში შედიან ევროპარლამენტარები და მისი პრეზიდენტი – სულ 751 წევრი. პარლამენტს, ევროკავშირის საბჭოსთან ერთად, გააჩნია საკანონმდებლო უფლებამოსილება. მის ძირითად ფუნქციებში ასევე შედის დემოკრატიული კონტროლი და ბიუჯეტის დამტკიცება.

ბ) ევროპული საბჭო

შედგება წევრი სახელმწიფოების ან მთავრობის მეთაურებისგან და განსაზღვრავს ევროკავშირის პოლიტიკის ზოგად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს.

გ) ევროკავშირის საბჭო

წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების მინისტრების აღმასრულებელ კრებას. საბჭო, ევროპარლამენტთან ერთად, იზიარებს საკა-

ნონმდებლო და საბიუჯეტო უფლებამოსილებას, თუმცა გააჩნია აღმასრულებელი უფლებამოსილებებიც. მის კომპეტენციაში შედის პოლიტიკის განსაზღვრა და კოორდინაცია, ამასთან, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, საბჭო შეიმუშავებს საერთო პოზიციებს და იღებს გადაწყვეტილებებს ერთობლივი ღონისძიებების შესახებ.

დ) ევროპის კომისია

წარმოადგენს ევროკავშირის საერთო ინტერესს, აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილება, მართავს საერთო პოლიტიკას და განაგებს ევროკავშირის ფონდებს, ზედამხედველობს ევროკავშირის სამართლის აღსრულებას და წარმოადგენს ევროკავშირს საერთაშორო დონეზე. კომისია შედგება 28 კომისრისგან. ისინი არ არიან თავიანთი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლები, თითოეული მათგანი პასუხისმგებელია ევროკავშირის პოლიტიკის კონკრეტულ სფეროზე. ევროპული კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ევროპის პარლამენტი და ხელმძღვანელობს პრეზიდენტი.

ე) ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

უზრუნველყოფს ევროკავშირის სამართლის დაცვასა და ერთგვაროვან გამოყენებას და აქვს კომპეტენცია, მიიღოს გადაწყვეტილება წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შეტანილ საჩივრებზე, ასევე წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ვ) ევროპის ცენტრალური ბანკი

უზრუნველყოფს ფულად სტაბილურობას წევრ სახელმწიფოთა შორის.

ზ) ევროპის აუდიტორთა სასამართლო

ზედამხედველობს ევროკავშირის სტრუქტურული ერთეულების, ასევე ევროკავშირისგან წევრი სახელმწიფოებისთვის გადაცემული ფინანსების სწორ მართვას.

1.4. ევროზონა

ევროკავშირის 19 ქვეყანაში – ავსტრია, ბელგია, გერმანია, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, კვიპროსი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ფინეთი, ჰოლანდია – მოქმედებს საერთო ვალუტა: ევრო.

1.5. ევროკავშირის დევიზი

ევროკავშირის დევიზი „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ მიღებულ იქნა 2000 წელს. დევიზი გულისხმობს, რომ, ევროკავშირის მეშვეობით, ევროპელები ერთიანდებიან მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის და კულტურის, ტრადიციებისა და ენების მრავალფეროვნება კონტინენტისთვის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს.

1.6. ევროპის დღე

ევროპის დღე ყოველი წლის 9 მაისს აღინიშნება და უკავშირდება 1950 წლის 9 მაისს რობერტ შუმანის მიერ გაკეთებულ დეკლარაციას.

2. ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნები

2.1. ევროკავშირისა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები

ავსტრია

ევროკავშირი: 01.01.1995
დედაქალაქი: ვენა
მოსახლეობა: 8 783 198
ენა: გერმანული
ფართობი: 83 879 კმ^2
მშპ: $376.950 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 01.12.2007

ბელგია

ევროკავშირი: 01.01.1958
დედაქალაქი: ბრიუსელი
მოსახლეობა: 11 250 585
ენა: ჰოლანდიური, ფრანგული, გერმანული
ფართობი: 30 528 კმ^2
მშპ: $455.086 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 26.03.1995

ბულგარეთი

ევროკავშირი: 01.01.2007
დედაქალაქი: სოფია
მოსახლეობა: 7 101 859
ენა: ბულგარული
ფართობი: 110 994 კმ^2
მშპ: $50.199 მილიარდი
ვალუტა: ბულგარული ლევი (€1~лв.1.95)
შენგენი: არ არის შენგენის წევრი

გაერთიანებული სამეფო[1]

ევროკავშირი: 01.01.1973
დედაქალაქი: ლონდონი
მოსახლეობა: 65 648 000
ენა: ინგლისური
ფართობი: 242 495 კმ^2
ვალუტა: ფუნტი სტერლინგი (€1~£0.88)
მშპ: $2 861.091 მილიარდი
შენგენი: არ არის შენგენის წევრი

1. 2016 წლის 23 ივნისს გამართულ რეფერენდუმზე გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობამ ხმა მისცა ევროკავშირიდან გამოსვლას. 2017 წლის 29 მარტს გაერთიანებულმა სამეფომ ოფიციალურად შეატყობინა ევროკავშირს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ. ამჟამად გაერთიანებული სამეფო ჯერ კიდევ ევროკავშირის წევრია.

გერმანია

ევროკავშირი: 01.01.1958
დედაქალაქი: ბერლინი
მოსახლეობა: 82 175 700
ენა: გერმანული
ფართობი: 357 168 კმ^2
მშპ: $3 363.447 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 26.03.1995

დანია

ევროკავშირი: 01.01.1973
დედაქალაქი: კოპენჰაგენი
მოსახლეობა: 5 748 769
ენა: დანიური
ფართობი: 42 931 კმ^2
მშპ: $301.308 მილიარდი
ვალუტა: დანიური კრონი (€1~kr.7.43)
შენგენი: 25.03.2001

ესპანეთი

ევროკავშირი: 01.01.1986
დედაქალაქი: მადრიდი
მოსახლეობა: 46 468 102
ენა: ესპანური
ფართობი: 505 990 კმ^2
მშპ: $1 192.901 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 26.03.1995

ესტონეთი

ევროკავშირი: 01.05.2004
დედაქალაქი: ტალინი
მოსახლეობა: 1 315 635
ენა: ესტონური
ფართობი: 45 339 კმ^2
მშპ: $22.459 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 21.12.2007

იტალია

ევროკავშირი: 01.01.1958
დედაქალაქი: რომი
მოსახლეობა: 60 599 936
ენა: იტალიური
ფართობი: 301 338 კმ^2
მშპ: $1 821.497 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 26.10.1997

ირლანდია

ევროკავშირი: 01.01.1973
დედაქალაქი: დუბლინი
მოსახლეობა: 4 761 865
ენა: ირლანდიური, ინგლისური
ფართობი: 70 273 კმ2
მშპ: $283.703 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: არ არის შენგენის წევრი

ისლანდია

ევროკავშირი: არ არის ევროკავშირის წევრი
დედაქალაქი: რეიკიავიკი
მოსახლეობა: 332 529
ენა: ისლანდიური
ფართობი: 102 775 კმ^2
მშპ: $20.047 მილიარდი
ვალუტა: ისლანდიური კრონა (€1~Íkr119)
შენგენი: არ არის შენგენის წევრი (EFTA)

კვიპროსი

ევროკავშირი: 01.05.2004
დედაქალაქი: ნიქოზია
მოსახლეობა: 1 141 166
ენა: ბერძნული, თურქული
ფართობი: 9 251 კმ^2
მშპ: $19.560 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: არის შენგენის კანდიდატი

ლატვია

ევროკავშირი: 01.05.2004
დედაქალაქი: რიგა
მოსახლეობა: 1 953 200
ენა: ლატვიური
ფართობი: 64 589 კმ^2
მშპ: $27.003 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 21.12.2007

ლიტვა

ევროკავშირი: 01.05.2004
დედაქალაქი: ვილნიუსი
მოსახლეობა: 2 827 947
ენა: ლიტვური
ფართობი: 65 300 კმ^2
მშპ: $41.400 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 21.12.2007

ლიხტენშტაინი

ევროკავშირი: არ არის ევროკავშირის წევრი
დედაქალაქი: ვადუცი
მოსახლეობა: 37 340
ენა: გერმანული
ფართობი: 160 კმ^2
მშპ: $6.664 მილიარდი
ვალუტა: შვეიცარიული ფრანკი (€1~SFr.1.10)
შენგენი: არ არის შენგენის წევრი (EFTA)

ლუქსემბურგი

ევროკავშირი: 01.01.1958
დედაქალაქი: ლუქსემბურგი
მოსახლეობა: 576 249
ენა: ლუქსემბურგული, ფრანგული, გერმანული
ფართობი: 2 586.4 კმ^2
მშპ: $56.800 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 26.03.1995

ნიდერლანდები

ევროკავშირი: 01.01.1958
დედაქალაქი: ამსტერდამი
მოსახლეობა: 17 100 475
ენა: ნიდერლანდური, ფრიზიული, ინგლისური
ფართობი: 41 543 კმ^2
მშპ: $750.284 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 26.03.1995

ნორვეგია

ევროკავშირი: არ არის ევროკავშირის წევრი
დედაქალაქი: ოსლო
მოსახლეობა: 5 267 146
ენა: ნორვეგიული
ფართობი: 385 178 კმ^2
მშპ: $370.557 მილიარდი
ვალუტა: ნორვეგიული კრონა (€1~kr9.4)
შენგენი: არ არის შენგენის წევრი (EFTA)

მალტა

ევროკავშირი: 01.05.2004
დედაქალაქი: ვალეტა
მოსახლეობა: 445 426
ენა: მალტური, ინგლისური
ფართობი: 316 კმ^2
მშპ: $9.746 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 21.12.2007

პოლონეთი

ევროკავშირი: 01.05.2004
დედაქალაქი: ვარშავა
მოსახლეობა: 38 634 007
ენა: პოლონური
ფართობი: 312 679 კმ^2
მშპ: $477.066 მილიარდი
ვალუტა: პოლონური ზლოტი (€1~ zł4.2)
შენგენი: 21.12.2007

პორტუგალია

ევროკავშირი: 01.01.1986
დედაქალაქი: ლისაბონი
მოსახლეობა: 10 309 573
ენა: პორტუგალიური
ფართობი: 92 212 კმ^2
მშპ: $199.113 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 26.03.1995

რუმინეთი

ევროკავშირი: 01.01.2007
დედაქალაქი: ბუქარესტი
მოსახლეობა: 20 121 641
ენა: რუმინული
ფართობი: 238 397 კმ^2
მშპ: $177.954 მილიარდი
ვალუტა: რუმინული ლეი (€1~ L4.56)
შენგენი: არ არის შენგენის წევრი

საბერძნეთი

ევროკავშირი: 01.01.1981
დედაქალაქი: ათენი
მოსახლეობა: 10 955 000
ენა: ბერძნული
ფართობი: 131 957 კმ^2
მშპ: $194.851 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 01.01.2000

საფრანგეთი

ევროკავშირი: 01.01.1958
დედაქალაქი: პარიზი
მოსახლეობა: 66 991 000
ენა: ფრანგული
ფართობი: 643 801 კმ^2
მშპ: $2 418.836 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 26.03.1995

უნგრეთი

ევროკავშირი: 01.05.2004
დედაქალაქი: ბუდაპეშტი
მოსახლეობა: 9 830 485
ენა: უნგრული
ფართობი: 93 030 კმ^2
მშპ: $121.715 მილიარდი
ვალუტა: უნგრული ფორინტი
(€1~ Ft1300)
შენგენი: 21.12.2007

ფინეთი

ევროკავშირი: 01.01.1995
დედაქალაქი: ჰელსინკი
მოსახლეობა: 5 48 543
ენა: ფინური, შვედური, სამი
ფართობი: 338 424 კმ^2
მშპ: $232.351 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 25.03.2001

სლოვაკეთი

ევროკავშირი: 01.05.2004
დედაქალაქი: ბრატისლავა
მოსახლეობა: 5 426 252
ენა: სლოვაკური
ფართობი: 49 035 კმ^2
მშპ: $87.264 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 21.12.2007

სლოვენია

ევროკავშირი: 01.05.2004
დედაქალაქი: ლიუბლიანა
მოსახლეობა: 2 065 895
ენა: სლოვენური
ფართობი: 20 273 კმ^2
მშპ: $42.775 მილიარდი
ვალუტა: €
შენგენი: 21.12.2007

შვედეთი

ევროკავშირი: 01.01.1995
დედაქალაქი: სტოკჰოლმი
მოსახლეობა: 10 032 357
ენა: შვედური
ფართობი: 450 295 კმ^2
მშპ: $495.694 მილიარდი
ვალუტა: შვედური კრონი (€1~kr9.76)
შენგენი: 25.03.2001

შვეიცარია

ევროკავშირი: არ არის ევროკავშირის წევრი
დედაქალაქი: ბერნი
მოსახლეობა: 8 401 120
ენა: გერმანული, ფრანგული
ფართობი: 41 285 კმ^2
მშპ: $659.827 მილიარდი
ვალუტა: შვეიცარიული ფრანკი (€1~ SFr.1.10)
შენგენი: არ არის შენგენის წევრი (EFTA)

ჩეხეთის რესპუბლიკა

ევროკავშირი: 01.05.2004
დედაქალაქი: პრაღა
მოსახლეობა: 10 553 948
ენა: ჩეხური
ფართობი: 78 866 კმ^2
მშპ: $185.156 მილიარდი
ვალუტა: ჩეხური კრონა (€1~ Kč 26.17)
შენგენი: 21.12.2007

ხორვატია

ევროკავშირი: 01.07.2013
დედაქალაქი: ზაგრები
მოსახლეობა: 4 190 700
ენა: ხორვატიული
ფართობი: 56 594 კმ^2
მშპ: $48.732 მილიარდი
ვალუტა: ხორვატიული კუნა (€1~kn7.40)
შენგენი: არ არის შენგენის წევრი

2.2. შენგენის სივრცე

პირთა თავისუფალი გადაადგილება ევროკავშირის მიერ უზრუნველყოფილი ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. შენგენის თანამშრომლობა აღრმავებს ამ თავისუფლებას, აძლევს რა მოქალაქეებს უფლებას, სასაზღვრო შემოწმების გარეშე გადაკვეთონ შიდა საზღვრები.

1985 წლის 14 ივნისს, ქალაქ შენგენთან ახლოს (ლუქსემბურგი), ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ხუთმა ქვეყანამ – ბელგიამ, გერმანიამ, ლუქსემბურგმა, საფრანგეთმა და ჰოლანდიამ – ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანთა თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფას. 1990 წელს შენგენის ხელშეკრულებას დაემატა იმპლემენტაციის კონვენციაც, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წელს. აღნიშნული შეთანხმებების შედეგად, გაუქმდა შიდა საზღვრები და შეიქმნა საერთო გარე საზღვარი.

შენგენის სივრცე ეტაპობრივად გაფართოვდა და დღეს 26 ქვეყანას მოიცავს, აქედან 22 ქვეყანა ევროკავშირის წევრია, ხოლო 4 (ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია) ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი. ევროკავშირის დარჩენილი 6 წევრიდან 4-ს (ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია) აქვს შენგენის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, ხოლო 2 (გაერთიანებული სამეფო და ირლანდია) არ შედის შენგენის სივრცეში.

შენგენის სივრცის ქვეყნებს შორის სასაზღვრო კონტროლი არ არსებობს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარ საზღვრებზე გარკვეული დროით კონტროლის აღდგენის შესახებ.

3. მიგრანტის პირველი ნაბიჯები

3.1. რა უნდა ვიცოდეთ გამგზავრებამდე

3.1.1. სავიზო მოთხოვნები

ვიზა ნიშნავს ქვეყნის მიერ გაცემულ ნებართვას ან მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც აუცილებელია პირის ტერიტორიაზე შესასვლელად, დასარჩენად ან ამ ტერიტორიის ტრანზიტულად გასავლელად.

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გასამგზავრებლად, საქართველოს მოქალაქეებისათვის მოქმედებს უვიზო რეჟიმი, თუ ისინი მიემგზავრებიან მოკლევადიანი ვიზიტით, სხვა შემთხვევაში, საჭიროა შესაბამისი კატეგორიის ვიზა.

3.1.2. მოკლევადიანი ვიზიტი – უვიზო მიმოსვლა

ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, 2017 წლის 28 მარტიდან შეუძლიათ უვიზოდ, ყოველი 180 დღის განმავლობაში, არაუმეტეს 90 დღის ვადით გაემგზავრონ შენგენის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას და ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას. უვიზო მიმოსვლა ასევე შესაძლებელია შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანასთან (დეტალურად იხ. ზემოთ, ცხრილში „ევროკავშირისა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები“). უვიზო რეჟიმი არ ვრცელდება დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაზე.

90-დღიან პერიოდში შესაძლებელია მრავალჯერადი შესვლა ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, თუმცა საჭიროა დარწმუნდეთ, რომ თქვენი ვიზიტის ხანგრძლივობა არ აღემატება ჯამში 90 დღეს უკანასკნელი 180 დღის განმავლობაში.

საამისოდ, რეკომენდებულია, ისარგებლოთ შენგენში ყოფნის დასაშვები პერიოდის სპეციალური გამომთვლელით, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ ბმულზე: https://goo.gl/aAkRmB.

ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში ყოფნის 90 დღის (180 დღის განმავლობაში) ვადის გასვლამდე საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს შენგენის სივრცე. ამ ქვეყნებში 90 დღე გადაბმულად ყოფნის შემთხვევაში, ხელახლა გამგზავრება შესაძლებელი იქნება შენგენის დატოვებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ.

3.1.3. ხუთი ფაქტი ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ მიმოსვლის შესახებ

1. ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ მიმოსვლა საშუალებას აძლევს ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, უვიზოდ გაემგზავრონ მოკლევადიანი ვიზიტით – მაქსიმუმ 90 დღით, ყოველი 180 დღის განმავლობაში. 90 დღის გამოყენება შეიძლება გადაბმულად ან დღეების გადანაწილებით;

2. უვიზოდ მიმოსვლა არ აძლევს მოქალაქეს ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე მუშაობის უფლებას;

3. უვიზოდ მიმოსვლა არ აძლევს მოქალაქეს ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე ხანგრძლივი სწავლის უფლებას;

4. ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებს შორის, როგორც წესი, სასაზღვრო კონტროლი არ არსებობს, ასე რომ, ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ, შესაძლებელია ევროკავშირის/შენგენის სივრცის შიგნით, ერთი ქვეყნიდან მეორეში თავისუფლად გადაადგილება;

5. უვიზო მიმოსვლა არ იწვევს ევროკავშირის/შენგენის ტერი-

ტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სტატუსის შეცვლას. კვლავ ძალაშია საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული რეადმისიის შესახებ შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრებ პირთა იდენტიფიცირებასა და მათ საქართველოში დაბრუნებას.

3.1.4. ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესვლის პირობები:

- ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესვლისას, სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე, გამგზავრების მსურველი ვალდებულია დაასაბუთოს მგზავრობის კონკრეტული მიზანი და პირობები, ასევე დაადასტუროს ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ყოფნისთვის საკმარისი ფულადი სახსრების ქონა;
- გამგზავრების მსურველზე არ უნდა არსებობდეს შეტყობინება „შენგენის საინფორმაციო სისტემაში“ (SIS II), შესვლაზე უარის თქმის შესახებ;
- გამგზავრების მსურველი არ უნდა მიიჩნეოდეს საფრთხედ საზოგადოებრივი წესრიგის, შიდა უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის ან საერთაშორისო ურთიერთობებისთვის, ნებისმიერ წევრ ქვეყანაში.

ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ გამგზავრებისას თან უნდა იქონიოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საქართველოს მოქალაქის მოქმედი ბიომეტრიული პასპორტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 თვის მოქმედების ვადა ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიიდან გასვლის დაგეგმილი დღისთვის;

ბ) დასაბრუნებელი ბილეთი;

გ) სასტუმროს მოქმედი ჯავშანი ან ლეგალურად მცხოვრები მასპინძლის მისამართი;

დ) მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურება – ნაღდი ფული, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათი;

ე) სამოგზაურო დაზღვევა.

3.1.5. ევროკავშირში/შენგენში გრძელვადიანი ყოფნა

თუ ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე 90 დღეზე მეტ ხანს აპირებთ დარჩენას, დაგჭირდებათ შესაბამისი ქვეყნის გრძელვადიანი ვიზა ან ბინადრობის ნებართვა. ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში გრძელვადიანი მიზნით გამგზავრების შემთხვევაში, გჭირდებათ გრძელვადიანი ვიზა, ხოლო შემდეგ, ტერიტორიაზე შესვლისას, შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამის სამსახურს, ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად.

გრძელვადიანი ვიზის მისაღებად უნდა მიმართოთ შესაბამისი ქვეყნის საკონსულო დაწესებულებას, ჩაეწეროთ, დანიშნოთ შეხვედრა და წარადგინოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

მოთხოვნები გრძელვადიანი ვიზის მისაღებად შეიძლება განსხვავდებოდეს ევროკავშირის/შენგენის წევრი სახელმწიფოების მიხედვით, თუმცა, როგორც წესი, დაგჭირდებათ შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:

- სამოგზაურო დოკუმენტი – მოქმედი პასპორტი;
- ე. წ. „დამხმარე დოკუმენტაცია“, რომელიც ადასტურებს თქვენი გამგზავრების მიზანს, მაგალითად: შრომითი ხელშეკრულება, სასწავლო დაწესებულებაში ჩაწერის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა. შ.;

- ფინანსური რესურსების დამადასტურებელი საბუთი;
- სამოგზაურო დაზღვევა;
- სავიზო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (გახსოვდეთ, რომ ეს თანხა არის საბუთების განხილვის/მომსახურების და არა ვიზის მიღების საფასური!);
- შევსებული სააპლიკაციო ფორმა.

საკონსულო დაწესებულებაში წარსადგენი დოკუმენტაცია უნდა თარგმნოთ ინგლისურ ან იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, რომლის დიპლომატიურ წარმომადგენლობასაც მიმართავთ.

გახსოვდეთ, რომ საბუთების ჩაბარება და სავიზო მოსაკრებლის გადახდა ვიზის მიღების გარანტიას არ იძლევა!

3.1.6. საჭირო ფინანსური რესურსი

გამგზავრებამდე უნდა გაითვალისწინოთ დანიშნულების ქვეყანაში ცხოვრების ხარჯები. ეს ხარჯები მოიცავს ბინის ქირას, კომუნალურ გადასახადებს, კვების, ტრანსპორტის, კომუნიკაციის, ჯანმრთელობის დაზღვევის, სამედიცინო მომსახურების და სხვა ხარჯებს. ცხოვრების დონე და ფასები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

ასევე, გაითვალისწინეთ, რომ დისტანციურად მოძებნილი სამუშაოს რეალური გარემო და პირობები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს დაპირებულს და მოგიწიოთ სხვა სამსახურის ძებნა. ამიტომ, მნიშვნელოვანია გამგზავრებამდე დააზუსტოთ, როგორია ცხოვრების საშუალო ღირებულება დანიშნულების ქვეყანაში, განსაკუთრებით, ბინის ქირისა და კვების ხარჯები და მომზადებული გაემგზავროთ. სასურველია, თან გქონდეთ არანაკლებ ორი თვის სამყოფი ფინანსური რესურსი.

3.1.7. თან წასაღები ნივთები და დოკუმენტები

საზღვარგარეთ გამგზავრებისას მნიშვნელოვანია თან იქონიოთ პირადი დანიშნულების ნივთები, რადგან შესაძლოა ჩასვლისთანავე ვერ მოახერხოთ საჭირო ნივთების შეძენა. წაიღეთ როგორც პირადი ჰიგიენის ნივთები, ისე – დანიშნულების ქვეყნის კლიმატის/სეზონის შესაბამისი ტანსაცმელი.

როდესაც სხვა ქვეყანაში გადადიხართ საცხოვრებლად, სასურველია თან წაიღოთ საბუთები, რომლებიც შესაძლოა დაგჭირდეთ იქ ცხოვრებისას, მაგალითად:

- დაბადების მოწმობა;
- ქორწინების/განქორწინების მოწმობა;
- დიპლომები და სერტიფიკატები;
- წინა დამსაქმებლის ან/და სხვა პირების სარეკომენდაციო წერილები;
- თქვენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საბუთები (სამედიცინო გამოკვლევებისა და ანალიზების შედეგები, ექიმის დანიშნულებები).

3.1.8. რას გულისხმობს სამგზავრო ინფორმაციისა და ავტორიზაციის ევროპული სისტემა (ETIAS)?

2020 წლის პირველი იანვრიდან, ევროკომისიის ინიციატივით, იქმნება ევროკავშირის სამგზავრო ინფორმაციისა და ავტორიზაციის სისტემა (ETIAS), რომლის მიზანია შენგენის ტერიტორიაზე უვიზო რეჟიმის ხელშეკრულების პირობებში სამგზავრო უსაფრთხოების გაძლიერება. სისტემა შეკრებს ინფორმაციას ყველა მგზავრზე, რომელიც ევროპაში აპირებს მოგზაურობას, უვიზო მიმოსვლის პირობებში და ემსახურება ევროკავშირის გარე საზღვრების ეფექტიან მართვას, ასევე, შიდასახელმწიფოებრივ და

მოქალაქეთა უსაფრთხოების გაუმჯობესებას. მის ადმინისტრირებას საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო (Frontex) უზრუნველყოფს.

უცხოელ ვიზიტორებს, რომელთაც ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმის პირობებში მოგზაურობის უფლება აქვთ (მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებს) და რომელთა ასაკი აღემატება 18 წელს, მოეთხოვებათ, გამგზავრებამდე, პერსონალური მონაცემები შეიყვანონ ელექტრონულ სისტემაში და გადაიხადონ შესაბამისი მოსაკრებელი, დაახლოებით 10 ევროს ოდენობით. ინფორმაციის გაგზავნის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში, სისტემა აპლიკანტს მიაწვდის პასუხს (ა) ავტორიზაციის წარმატებით დასრულების, (ბ) ავტორიზაციაზე უარის ან (გ) დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ.

ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, აპლიკანტს შეუძლია შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე გაასაჩივროს უარი, ხოლო ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში – ის აქტიური იქნება 3 წლის განმავლობაში (რაც გულისხმობს, რომ ამ პერიოდში აღარ იქნება საჭირო ავტორიზაციის შემდგომი გავლა).

მარტივად რომ ვთქვათ, მოგზაურობის მსურველი გამგზავრებამდევე გაიგებს მის შესახებ რეგისტრირებულ მონაცემებში არსებული ისეთი ინფორმაციის თაობაზე, რომელმაც შეიძლება უვიზო მგზავრობაში ხელი შეუშალოს და ასევე, თავიდან ააცილოს ის უხერხულობები, რაც ევროკავშირის/შენგენის საზღვარზე შეშვებაზე უარის თქმასა და უკან გამობრუნებას ახლავს თან.

3.2. გამგზავრება

3.2.1. ბილეთის შეძენა

ევროკავშირის/შენგენის მიმართულებით გასამგზავრებლად, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ პირდაპირი და არაპირდაპირი რეისებით თბილისიდან; ასევე, ქუთაისის აეროპორტიდან ხორციელდება პირდაპირი ფრენები ევროკავშირის რიგ ქვეყნებში.

ა) ბილეთის შეძენის დრო

ჩვეულებრივ, დაგეგმილ მოგზაურობაზე რაც უფრო ადრე შეიძენთ ბილეთებს, ფასი მით უფრო დაბალია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ტურისტულად აქტიურ პერიოდებში (ძირითადად, ზაფხულის მეორე ნახევარი და ახალი წლის პერიოდი) ბილეთებზე მოთხოვნა იზრდება, შესაბამისად, იზრდება ფასიც.

ბ) რომელი ავიაკომპანიის მომსახურებით ისარგებლებთ

საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებს ემსახურება არაერთი ავიაკომპანია, რომლებიც ფრენებს სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებენ. ავიაკომპანიების უმრავლესობას ეკონომიური კლასის ბილეთებზე დაახლოებით ერთგვაროვანი ფასები აქვს. ბოლო რამდენიმე წელია, ქუთაისიდან ევროპის მიმართულებით დაინიშნა ფრენები, რომლებიც გამოირჩევა შედარებით დაბალი ფასით. ფრენები რეგულარულად სრულდება ევროპის ათზე მეტი ქვეყნის მიმართულებით.

ავიაბილეთების შესაძენად შეგიძლიათ ისარგებლოთ როგორც ავიაკომპანიების ოფიციალური ვებგვერდებითა და ავიაბილეთების გამყიდველი ორგანიზაციების მომსახუ-

რებით, ისე ავიაბილეთების მსხვილი ელექტრონული ბაზებით, მაგალითად, შემდეგ ინტერნეტ-მისამართებზე: www.justfly.com, www.onetravel.com, www.aviabiletebi.org.

3.2.2. მგზავრობისას გასათვალისწინებელი წესები

თვითმფრინავით მგზავრობისას გასათვალისწინებელი წესები:

ა) დააზუსტეთ, ფრენამდე რამდენი ხნით ადრე უნდა იყოთ აეროპორტში;

ბ) სასურველია, თავად ჩაალაგოთ ბარგი და არავის გამოართვათ რაიმე საგანი ან შეფუთული პაკეტი სხვისთვის გადასაცემად;

გ) გაითვალისწინეთ ხელბარგისთვის დაწესებული აკრძალვები და შეზღუდვები:

საგნები, რომელთა ხელბარგში მოთავსება აკრძალულია:

- საბრძოლო საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი;
- ბასრი იარაღები და საგნები;
- ფეთქებადი და აალებადი ნივთიერებები;
- საგნები ბასრი პირის ან წამახვილებული დაბოლოებით: ნებისმიერი სახის ჯოხი და ხელკეტი, ნიჩბები, ჩოგნები, ნებისმიერი სახის კიი, სკეიტბორდი, სათევზაო აღჭურვილობა და სათევზაო ხელსაწყოები, სათხილამურო აღჭურვილობა, თოკი, ტროსი, სერფინგის დაფა;
- ქიმიური და ტოქსიკური ნივთიერებები.

შეზღუდვები თხევად ნივთიერებებზე:

- ხელბარგში არსებული თითოეული თხევადი პროდუქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100 მილიგრამს.
- თხევადი პროდუქცია დაფასოებული უნდა იყოს ცალ-

ცალკე 1 ლიტრის მოცულობის ჭურჭელში და მოთავსდეს 20სმx20სმ ზომის გამჭვირვალე დალუქულ პაკეტში. თითოეულ მგზავრს უფლება აქვს თან იქონიოს მხოლოდ ერთი ამგვარი პაკეტი. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება მედიკამენტებზე (მხოლოდ რეცეპტთან ერთად და თავდაპირველ შეფუთვაში) და ბავშვის საკვებზე.

- აკრძალულია წყალი, გამაგრილებელი სასმელი, სიროფი, ნაღები, ასევე, ლოსიონი, ზეთები, პარფიუმი, კოსმეტიკური საშუალებები, კბილის პასტა, გასაპარსი გელი და მუსი, თმის გელი, დეოდორანტი, საკონტაქტო ლინზების ხსნარი, შამპუნი, ასევე, საკვები პროდუქტები, როგორიცაა მურაბა, თაფლი, იოგურტი.
- Duty-Free-ის მაღაზიებში შეძენილი თხევადი პროდუქცია უნდა მოთავსდეს სპეციალურ გამჭვირვალე, დალუქულ პაკეტში, შეძენის ქვითართან ერთად. სასურველია, არ გახსნათ პაკეტი დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე.

3.2.3. საზღვრის გადაკვეთა და საბაჟო წესები

ევროკავშირში შესვლისას, მგზავრის ბარგში არსებული პირადი ნივთები, რომლებიც სამეწარმეო მიზნებისთვის არ არის გათვალისწინებული, გათავისუფლებულია გადასახადებისგან. უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი წესები:

ა) აქციზს დაქვემდებარებულ პროდუქციაზე დაწესებულია შემდეგი შეზღუდვები:

ალკოჰოლური სასმელის დასაშვები ოდენობა:

- 1 ლიტრი ალკოჰოლური სასმელი, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა 22%-ზე მეტია ან 2 ლიტრი ალკოჰოლური სასმელი, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა 22 %-ს არ აღემატება; 4 ლიტრი სუფრის ღვინო; 16 ლიტრი ლუდი.

თამბაქოს პროდუქტების დასაშვები ოდენობა:

- თამბაქოს პროდუქტებზე ევროკავშირის ქვეყნებს შეუძლიათ დააწესონ ქვემოთ მოცემული მაღალი ან დაბალი ზღვარი. ბულგარეთში, ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში, საბერძნეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში დაბალი ზღვარი მოქმედებს მხოლოდ სახმელეთო ან საზღვაო მგზავრობისას, ხოლო ესტონეთსა და რუმინეთში – ყველა შემთხვევაში.

ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებში მოქმედებს მაღალი ზღვარი.

მაღალი ზღვარი	**დაბალი ზღვარი**
200 სიგარეტი ან 100 სიგარილა ან 50 სიგარა ან 250 გრამი თამბაქო	40 სიგარეტი ან 20 სიგარილა ან 10 სიგარა ან 50 გრამი თამბაქო
ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრები, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100%-ს არ აღემატება. მაგალითად, 150 სიგარეტი + 50 სიგარილა.	

ბ) ნაღდი ფული 10 000 ევროს ზემოთ ექვემდებარება სავალდებულო დეკლარაციას.

გ) ცხოველური დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, დაწესებულია მკაცრი პროცედურები და ვეტერინარული კონტროლი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირში შეტანაზე.

დ) ნარკოტიკული ნივთიერებების, მედიკამენტების, იარაღისა და საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, პორნოგრაფიული მასალის შეტანაზე დაწესებული აკრძალვები და შეზღუდვები რეგულირდება თითოეული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით.

4. ცხოვრება ევროკავშირის / შენგენის წევრ ქვეყნებში

4.1. საცხოვრებელი ადგილი

მიგრანტებისთვის საცხოვრებლის უზრუნველყოფის ძირითადი საშუალება ბინის დაქირავებაა. ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ბინის დასაქირავებლად უნდა გქონდეთ ამ ქვეყანაში ლეგალური ყოფნის ნებართვა (ვიზა/ბინადრობის ნებართვა და სხვ.).

საცხოვრებლის მოსაძებნად შეგიძლიათ გამოიყენოთ პირადი კონტაქტები, სპეციალური ვებგვერდები ან ისარგებლოთ უძრავი ქონების სააგენტოს მომსახურებით. ამ შემთხვევაში, საჭიროა შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდა.

ბინის საშუალო ფასი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ბინის ქირა ასევე დამოკიდებულია რეგიონზე, ბინის ფართობსა და მდგომარეობაზე, ადგილმდებარეობაზე, სატრანსპორტო საშუალებების სიახლოვეზე და ა.შ. ასე რომ, სასურველია, გამგზავრებამდე გაარკვიოთ თქვენთვის სასურველ ქალაქში ბინის ქირის საშუალო ფასი.

მნიშვნელოვანია ბინის მესაკუთრესთან წინასწარ გაარკვიოთ ქირავნობის ხელშეკრულების პირობები, განსაკუთრებით თქვენი ვალდებულებები, ქირის ოდენობა, ქირავნობის ვადა. ბინის დაქირავება, როგორც წესი, გულისხმობს თქვენ მიერ კომუნალური გადასახადების გადახდას, თუ დამქირავებელთან სხვაგვარად არ შეთანხმდებით. ასევე შესაძლოა სავალდებულო იყოს ბინის დაზღვევა.

გაითვალისწინეთ, რომ ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში ბინის დაქირავებისას საჭიროა გარკვეული თანხის წინასწარ გადახდა, როგორც წესი, ერთი თვის ქირის ოდენობით. ეს თანხა

არის გარანტია მესაკუთრისათვის. აღნიშნული თანხა დაგიბრუნ-დებათ ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ჩაგეთვლებათ ქი-რაში.

რჩევა:

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, ადმინისტრაციული ორგანოები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები ხშირად იყენებენ საფოსტო გზავნილებს. მისამართის შეცვლის შემთხვევაში, სასურველია შეატყობინოთ ამ დაწესებულებებს, რათა არ გამოგრჩეთ თქვენთვის განკუთვნილი მნიშვნელოვანი შეტყობინება.

4.2. დასაქმება

იმისათვის, რომ ევროპის ქვეყნებში კანონიერად იმუშაოთ, გჭირ-დებათ შესაბამისი ნებართვა. ასევე, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ევროპის ქვეყნებში სამუშაოს მოძებნა არც თუ მარტივია. იქ მყოფი შრომითი მიგრანტები, უმეტეს შემთხვევაში, არ მუშაობენ საკუთარი პროფესიით. სამსახურის მოძებნა უფრო გაგიჭირდე-ბათ, თუ ხართ უსაბუთო (შესაბამისი დოკუმენტების არმქონე) მიგრანტი. ამ შემთხვევაში, იზრდება შრომითი ექსპლოატაციის მსხვერპლად ქცევის საფრთხეც.

ევროპის ქვეყნებში ქართველი შრომითი მიგრანტები ხშირად და-საქმებულები არიან საშინაო მომსახურების სფეროში, სამშენებ-ლო და სოფლის მეურნეობის სექტორში.

სამუშაოს მოსაძებნად შეგიძლიათ გამოიყენოთ:

ა) პირადი კონტაქტები

ბ) დასაქმების ვებგვერდები, მაგალითად:

www.europa.eu/eures/public/homepage – ევროკავშირის დასაქმებისა და მობილობის პორტალი. აღნიშნულ პორტალზე ნახავთ ვაკანსიებს ქვეყნების, განათლებისა და გამოცდილების დონის და კონტრაქტის ტიპის მიხედვით. შესაძლებელია საკუთარი CV-ის განთავსებაც. ვებგვერდზე შეგიძლიათ გაეცნოთ ინფორმაციას ევროკავშირის წევრი ქვეყნების შრომითი ბაზრისა და დასაქმების პირობების შესახებ;

www.eurojobs.com – ამ ვებგვერდზე ნახავთ ვაკანსიებს ქვეყნების მიხედვით.

გაითვალისწინეთ, რომ ჩამოთვლილ და მსგავს ვებგვერდებზე შეიძლება შეხვდეთ ვაკანსიებს, რომლებიც მოითხოვს შედარებით მაღალ კვალიფიკაციას. დასაქმების საძიებლად, თითოეულ ქვეყანაში ფუნქციონირებს სხვადასხვა ვებგვერდი.

გ) დასაქმების სააგენტოები

ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, გადაამოწმოთ მათი სანდოობა.

გახსოვდეთ!

- *დასაქმების სააგენტო ან პირი, რომელიც გთავაზობთ სამსახურს, როდესაც თქვენ იმყოფებით უცხო ქვეყანაში სამუშაო ნებართვის გარეშე, არღვევს კანონს;*
- *დასაქმების სააგენტო ან პირი, რომელიც გაწვდით არასწორ ინფორმაციას დანიშნულების ქვეყნის, სამუშაო პირობებისა და ანაზღაურების შესახებ, არ არის სანდო;*
- *გაითვალისწინეთ, რომ სამუშაოს მოძებნა შედარებით გაგიმარტივდებათ, თუ იცით შესაბამისი ქვეყნის ენა.*

4.3. შრომითი ექსპლოატაციის საფრთხე

ფრთხილად!

- *ჩამოგართვეს პირადობის მოწმობა ან პასპორტი?*
- *გაიძულებენ მუშაობას ვალის გადასახდელად?*
- *მოგატყუეს სამუშაოს აღწერილობის, სამუშაო ადგილის, პირობების ან დამსაქმებლის შესახებ?*
- *იზოლირებული ხართ, შეზღუდული გაქვთ თავისუფლება ან/და იმყოფებით ზედამხედველობის ქვეშ?*
- *გაიძულებენ მუშაობას, უკანონო საქმიანობაში მონაწილეობას, სექსუალური კავშირის დამყარებას თქვენი ნების საწინააღმდეგოდ?*
- *გემუქრებიან თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს?*

თუ ამ შეკითხვებიდან ერთს მაინც უპასუხეთ დადებითად, შესაძლოა თქვენ იყოთ შრომითი ექსპლოატაციის მსხვერპლი.

მაღალია რისკი იმისა, რომ შრომითი ექსპლოატაციის მსხვერპლნი გახდნენ უსაბუთო მიგრანტები. სტატუსიდან გამომდინარე, მათ საკმაოდ რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება. განსაკუთრებით რთულია სამსახურის პოვნა, საცხოვრებლის დაქირავება, განათლების მიღება, ჯანდაცვის ან სხვა სოციალური მომსახურებით სარგებლობა. ასე რომ, უსაბუთო მიგრანტების არასასურველ პირობებზე დათანხმება, დაშინება, დაშანტაჟება, იძულება ან თავისუფლების შეზღუდვა უფრო მარტივია.

დაიმახსოვრეთ!

- *ნუ დათანხმდებით საზღვარგარეთ წასვლას გრძელვადიანი მიზნით შესაბამისი ვიზის გარეშე (თუ საჭიროა ვიზა). ვიზის მისაღებად პირადად მიმართეთ იმ ქვეყნის საკონსულო დაწესებულებას, რომელშიც გსურთ გამგზავრება;*
- *გადაამოწმეთ ორგანიზაციის/პირის საქმიანობის ნამდვილობა, რომელიც გთავაზობთ დახმარებას საზღვარგარეთ წასვლაში ან/და დასაქმებაში;*
- *გამოიჩინეთ განსაკუთრებული სიფრთხილე დოკუმენტებთან. კერძოდ, ნუ გადასცემთ სხვას თქვენს პასპორტს ან პირადობის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტს. იქონიეთ დოკუმენტების ასლები;*
- *მუშაობის დაწყებამდე, მოითხოვეთ დამსაქმებლის საკონტაქტო მონაცემები. ასევე, წინასწარ გაეცანით შემოთავაზებული სამუშაოს პირობებს, მათ შორის, ინფორმაციას სამუშაო ადგილისა და ანაზღაურების შესახებ. დარწმუნდით, რომ პირობები ხელმისაწვდომია თქვენთვის გასაგებ ენაზე;*
- *ნუ დათანხმდებით მუშაობის დაწყებას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე.*

თუ გახდით ძალადობის ან/და ექსპლოატაციის მსხვერპლი, უკანონოდ შეგეზღუდათ თავისუფლება ან ჩამოგართვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შეგიძლიათ მიმართოთ:

ა) ქვეყანაში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

გახსოვდეთ! ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, დოკუმენტები წესრიგში გაქვთ თუ საზღვარგარეთ უნებართვოდ ცხოვრობთ, საქართველოს საკონსულო უზრუნველყოფს შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტის გაცემას საქართველოში დასაბრუნებლად.

ბ) ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს, უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, სათვისტომოს წარმომადგენლობას.

გ) ასევე შეგიძლიათ დარეკოთ:

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ნომერზე: (+995) 32 2 94 50 50
- გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, 24 საათის განმავლობაში, ნომერზე: (+995) 577 98 40 20.

დ) ტრეფიკინგის შემთხვევაში, შეგიძლიათ ასევე დაუკავშირდეთ:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზს ნომერზე: (+995) 32 2 41 17 14;
- საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის შემთხვევაში – ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცხელ ხაზს ნომერზე: 116 006.

4.4. კვება

საკვები და სპირტიანი სასმელები ისეთი პროდუქტებია, რომელთა შეძენის თაობაზე სასურველია გარკვეული ინფორმაცია წინასწარვე გქონდეთ, რათა თავიდან აიცილოთ მოულოდნელი ხარჯები. კვებასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გაითვალისწინოთ შემდეგი რჩევები:

4.4.1. სასურსათო მაღაზიები

სასურსათო მაღაზიებში საკვების შეძენა ყველაზე იაფია. მაღაზიების მუშაობის განრიგი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა, როგორც წესი, სასურსათო მაღაზიები საღამოს 7 ან 8 საათზე იხურება. ზოგიერთი მაღაზია მუშაობს გვიანობამდეც, თუმცა მათი პროდუქცია შედარებით ძვირია. გარდა ნახევარფაბრიკატებისა, მაღაზიებში შეგიძლიათ შეიძინოთ სენდვიჩი, ვრაპი, სალათი, საშუალოდ, 5 ევროდ. ამასთან, ხშირია ამა თუ იმ მაღაზიის მიერ სპეციალური შემოთავაზებები კონკრეტულ პროდუქციასთან დაკავშირებით. გაითვალისწინეთ, რომ საკვების სახლში მომზადება, როგორც წესი, უფრო ხელსაყრელია მიგრანტებისთვის.

4.4.2. ფერმერთა ბაზრები

ფერმერთა ბაზრებში მაღალი ხარისხის საკვებს იპოვით მისაღებ ფასად. ევროპის დიდ ქალაქებში ფერმერთა ბაზრები კვირაში ერთხელ ან ორჯერ იმართება, თუმცა, ქალაქის მასშტაბით, ღია ბაზარს კვირის ნებისმიერ დღეს იპოვით. გასათვალისწინებელია, რომ ბევრი ასეთი დაწესებულება შუადღეს იხურება.

რჩევა

თუ გსურთ თანხის დაზოგვა, უმჯობესია ბაზარს ეწვიოთ მის დახურვამდე რამდენიმე წუთით ადრე, რადგან ხშირად, დახურვის წინ ისინი ზოგიერთ მალფუჭებად პროდუქტს ფასს აკლებენ.

4.4.3. სწრაფი კვება და დაბალფასიანი რესტორნები, საკვების თან წაღების შესაძლებლობით

ქუჩის საკვების ჯიხურიდან ან დაბალფასიანი რესტორნიდან შეძენით შეძლებთ მიიღოთ გემრიელი კერძები მისაღები ღირებულების სანაცვლოდ. ქუჩის ჯიხურებში, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა საკვებს ნახავთ, მაგალითად, საფრანგეთში – კრეპებს, გერმანიაში – ბრათვურსტს, ბელგიაში – კარტოფილ ფრის, ნაირგვარი სოუსებით, იტალიაში – პიცის ნაჭრებს, ინგლისში – თევზსა და ჩიფსს და ა. შ.

ყველაზე პოპულარული დაბალფასიანი კერძი ევროპაში შაურმაა (იგივე: დონერი, ქაბაბი ან ჯაირო). თუმცა, შეიძლება ამა თუ იმ ქვეყანაში მცირე ვარიაციებს შეხვდეთ, შაურმა, როგორც წესი, ერთგვაროვანია და მზადდება ღორის, საქონლის, ქათმის ან ინდაურის ხორცით. ფასი, საშუალოდ, 5 ევროს შეადგენს.

მისაღებ ფასში საკვების მოსაპოვებლად შეგიძლიათ ეწვიოთ საცხობებს. სადილისა და ვახშმის დროს შეძლებთ ახლადმომზადებული სენდვიჩის, სალათის, პიცისა თუ სხვა საკვების შეძენას, დესერტითა და სასმელით, დაახლოებით 8 ევროდ.

4.4.4 ეკონომიური რესტორნები

იმისთვის, რომ გაიგოთ, რომელ რესტორანში შეიძლება მაღალი ხარისხის კერძების შეძენა მისაღებ ფასად, შეგიძლიათ ეწვიოთ ადგილობრივ რესტორნებს. საუკეთესო გზამკვლევს ამისთვის მენიუ წარმოადგენს, რომელიც, ძირითადად, რამდენიმე ენაზეა შედგენილი. ქალაქის ცენტრიდან ოდნავ მოშორებით უნდა გაემგზავროთ, რათა ადგილობრივი, დაბალფასიანი რესტორნები მოძებნოთ. ასეთ რესტორანში სადილი 20 ევროზე მეტი არ დაგიჯდებათ.

ასევე, შეგიძლიათ მიმართოთ ეთნიკურ რესტორნებს (ჩინური, ინდური, ტაილანდური და სხვა), რომლებიც შედარებით ეკონომიურია.

რამდენიმე რჩევა:

- *უმჯობესია, საკვები გაიყოთ სხვა ადამიანთან. ასეთ დროს თქვენ შეძლებთ სპეციალური შემოთავაზებების დაბალ ფასად შეძენას;*
- *რესტორანში წყლის შეკვეთისას მიუთითეთ, რომ გსურთ ონკანის წყალი. სხვა შემთხვევაში, ზოგიერთ ქვეყანაში, მოგიწევთ ძვირადღირებული ბოთლის წყლის საფასურის გადახდა;*
- *სასმელები ბართან (ყავა, ჩაი, ცხელი შოკოლადი, ლუდი, ღვინო და სხვა), როგორც წესი, ბარის დახლთან უფრო იაფია, ვიდრე მაგიდასთან;*
- *ევროპის ქვეყნებში არსებობს ე.წ. ჩაის თანხის დატოვების კულტურა, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში მომსახურების საფასური უკვე გათვალისწინებულია ანგარიშში. როგორც წესი, „ჩაის თანხად“ მირთმეული საკვების ღირებულების 15%-ს გადახდა საკმარისია.*

4.5. გადასახადები

ევროკავშირის ყველა ქვეყანას საკუთარი საგადასახადო პოლიტიკა და სისტემა აქვს. არსებობს სხვადასხვა სახის გადასახადი როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე. თუმცა, ყველაზე ხშირად, საშემოსავლო გადასახადთან მოგიწევთ შეხება.

ევროკავშირის ქვეყნებში არ არსებობს საერთო საგადასახადო განაკვეთი. არსებობს საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა მოდელი. ზოგ ქვეყანაში (მაგალითად: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი) დაწესებულია მოჭრილი განაკვეთი ყველასთვის, შემოსავლის რაოდენობის მიუხედავად, ხოლო ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში (მაგალითად: ავსტრია, ბელგია, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია) გადასახადს იხდით დასაბეგრ შემოსავალზე, პროგრესული საგადასახადო განაკვეთებით. შესაბამისად, გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია შემოსავალზე და თანდათან იზრდება – რაც მეტია დასაბეგრი შემოსავალის რაოდენობა, მით მეტია განაკვეთი. ასევე, შეიძლება არსებობდეს გადასახადისგან თავისუფალი ოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გადასახადს არ გადაიხდით, თუ თქვენი წლიური შემოსავალი გარკვეულ თანხას არ აღემატება. მაგალითად, ავსტრიაში – 11 000 ევრომდე, გერმანიაში – 8 820 ევრომდე, საფრანგეთში – 9 710 ევრომდე.

გაითვალისწინეთ, რომ ზოგ ქვეყანაში სავალდებულოა დეკლარაციის წარდგენა, მიუხედავად შემოსავლის რაოდენობისა (მაგალითად: საფრანგეთი, საბერძნეთი), ხოლო ზოგ ქვეყანაში კი დეკლარაცია უნდა წარადგინოთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი წლიური შემოსავალი გარკვეულ თანხას აღემატება. არის ქვეყნები, სადაც გადასახადს დამსაქმებელი აკლებს ხელფასიდან და, თუ სხვა შემოსავალი არ გაქვთ, დეკლარაციის ჩაბარება სავალდებულო არ

არის და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია საჭირო (მაგალითად: გერმანია, იტალია).

ასე რომ, როდესაც ცხოვრობთ და მუშაობთ ქვეყანაში, გაარკვიეთ, გიწევთ თუ არა საშემოსავლო გადასახადის გადახდა, სავალდებულოა თუ არა დეკლარაციის წარდგენა და თუ ასეა, როდისაა წარდგენის ბოლო ვადა.

4.6. სამედიცინო მომსახურება და ფარმაცია

4.6.1. ჯანმრთელობის დაზღვევა

ევროპის ქვეყნებში ჯანმრთელობის დაზღვევის გარეშე ცხოვრება საკმაოდ გაგიჭირდებათ. გაითვალისწინეთ, რომ, თუ ხართ მიგრანტი ბინადრობის ნებართვის გარეშე, სადაზღვევო სერვისებით ვერ ისარგებლებთ.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა შეიძლება გამოიყოს ჯანდაცვის დაფინანსების რამდენიმე ძირითადი მოდელი, ესენია: საბიუჯეტო და სავალდებულო სისტემა.

ა) საბიუჯეტო სადაზღვევო სისტემაში (მაგალითად: დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ფინეთი, დანია, პორტუგალია, იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი) ჯანდაცვა ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, კერძოდ – დაწესებულებების და მოსახლეობის გადასახადების ხარჯზე. ამ ქვეყნების მოსახლეობა სამედიცინო დახმარებას იღებს უფასოდ, განსაზღვრული გამონაკლისი სამედიცინო მომსახურების გარდა.

ბ) სავალდებულო სამედიცინო სადაზღვევო სისტემაში (მაგალითად: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეიცარია) სადაზღვევო სისტემა დაფუძნებულია ე. წ. სოლიდარობის პრინციპზე. ასეთი სისტემის დაფინანსების სამი ძირითადი

წყარო არსებობს: დამსაქმებელთა სადაზღვევო პრემიები დაქვითული შემოსავლებიდან (გადასახადებიდან); დასაქმებულთა პრემიები დაქვითული ხელფასიდან; სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

აღნიშნული ძირითადი მოდელების ფარგლებში ყველა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები.

მნიშვნელოვანია გქონდეთ ინფორმაცია იმ ქვეყნის სადაზღვევო სისტემაზე, სადაც ცხოვრობთ, კერძოდ, გაარკვიეთ რომელ სამედიცინო მომსახურებას ფარავს თქვენი დაზღვევა, გჭირდებათ თუ არა საბაზისო დაზღვევის კერძო დაზღვევით შევსება და ა.შ.

4.6.2. ფარმაცია

ჯანმრთელობის ნაკლებადმძიმე პრობლემის არსებობისას, როგორიცაა გაციება, თავის, ყელის ან მუცლის ტკივილი, შეგიძლიათ მიმართოთ აფთიაქს. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში, ფარმაცევტები შეძლებენ თქვენთვის კონსულტაციის გაწევას.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში აფთიაქები აღნიშნულია შესაბამისი წარწერითა და მწვანე ჯვრით, რომელიც, როგორც წესი, განათებულია. გერმანიასა და ავსტრიაში იყენებენ დიდ წითელ ლათინურ ასოს „A“. სხვადასხვა ქვეყანაში შეხვდებით წარწერას შესაბამის ენაზე, მაგალითად, ბერძნულად „φαρμακείο, ΦΑΡΜΑΚΕΙΟ“, გერმანულად „Apotheke“, ესპანურად და იტალიურად „Farmacia“, ფრანგულად „Pharmacie“, შვედურად „Apothek“, ჰოლანდიურად „Apotheek“.

აფთიაქის მუშაობის საათები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. როგორც წესი, აფთიაქები დაკეტილია კვირადღეს, თუმცა ქალაქებში ყოველთვის მოიძებნება ისეთი აფთიაქებიც, რომლებიც 24 საათი მუშაობს.

გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა მედიკამენტი, რომელსაც საქართველოში იყენებდით, სხვა ქვეყანაში განსხვავებული სახელით იყოს ცნობილი.

4.7. ტრანსპორტი და გადაადგილება

4.7.1. საზოგადოებრივი ტრანსპორტი

ევროპის ქვეყნებში კარგად არის განვითარებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა. მისი გამოყენება მარტივი და ხელმისაწვდომია. ბევრ ქალაქში, ავტობუსში, მეტროსა და ტრამვაიში ერთი და იგივე ბილეთი გამოიყენება, ზოგან კი მოგიწევთ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებისათვის განსხვავებული ბილეთის შეძენა.

გაითვალისწინეთ, რომ გაქვთ არჩევანი ერთჯერადი ბილეთის, ვადიანი ბილეთის (მაგალითად, 24-საათიანი ულიმიტო მგზავრობა), გარკვეული რაოდენობის ბილეთების ერთად (მაგალითად, 10 ბილეთის ნაკრები) შეძენასა და სამგზავრო ბარათის აღებას შორის. შერჩევისას გაითვალისწინეთ, რამდენად ხშირად მოგიწევთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა. თუ ყოველდღიურად უნდა ისარგებლოთ ტრანსპორტით, უფრო ხელსაყრელი იქნება, აიღოთ სამგზავრო ბარათი, რომელსაც პერიოდულად შეავსებთ. როგორც წესი, ამგვარ ბარათს გამოიყენებთ როგორც ავტობუსში, ისე მეტროსა და ტრამვაიში.

ზოგ შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობა და ბილეთის გამოყენება მგზავრის კეთილსინდისიერებაზეა დამყარებული, თუმცა პერიოდულად შეხვდებით კონტროლიორებს, რომლებიც ამოწმებენ მგზავრებს მგზავრობის პროცესში, ტრანსპორტის დატოვებისას ან სადგურიდან გასვლი-

სას. უბილეთოდ მგზავრობისას, ასევე იმ შემთხვევაში, როცა შეძენილი ბილეთი ან სამგზავრო ბარათი არ გამოგიყენებიათ, მოგიწევთ ჯარიმის გადახდა.

გაითვალისწინეთ, რომ ევროპის ქვეყნებში, ტაქსით მგზავრობა ძვირია.

4.7.2. ავტომობილი

თუ გსურთ ევროკავშირის წევრ რომელიმე ქვეყანაში (რომელიც არის 1968 წლის 8 ნოემბრის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ვენის კონვენციისა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ 1949 წლის 19 სექტემბრის ჟენევის კონვენციის წევრი ქვეყანა) ავტომობილის მართვა და არ გაქვთ ამ ქვეყნის მართვის მოწმობა, გარკვეული პერიოდით შეგიძლიათ გამოიყენოთ ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობა. ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის გამოყენების ვადა შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობითაა დადგენილი.

1968 წლის 8 ნოემბრის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ვენის კონვენციის წევრი ქვეყნები აღიარებენ 2012 წლის 1 აგვისტოს შემდგომ გაცემულ ეროვნულ მართვის მოწმობას.

მოქალაქის მოთხოვნის შემთხვევაში, გაიცემა საერთაშორისო მართვის მოწმობა. საერთაშორისო მართვის მოწმობის მოქმედების ვადაა 3 წელი.

საერთაშორისო მართვის მოწმობა გაიცემა საქართველოს მოქალაქეზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე და მოქალაქეობის არმქონე პირზე, მართვის მოწმობის საფუძველზე, იდენტური მართვის უფლების კატეგორიით/ქვეკატეგორიით.

საერთაშორისო მართვის მოწმობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა საგამოცდო სამსახურში უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება;
- ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობა;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საერთაშორისო მართვის მოწმობის საფასური - 109 ლარი).

საერთაშორისო მართვის მოწმობა ძალაშია ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობასთან ერთად.

თუ ავტომობილით გადაადგილდებით, უნდა იცოდეთ, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ავტობანით სარგებლობა ფასიანია. შემდეგ ქვეყნებში: ესპანეთი, ირლანდია, იტალია, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ხორვატია - ავტობანზე შესვლისას ან ავტობანიდან გამოსვლისას საჭიროა საფასურის გადახდა. გადახდა შესაძლებელია ადგილზე, აპარატის მეშვეობით. ასევე, ზოგ ქვეყანაში არსებობს წინასწარ, ელექტრონულად გადახდის შესაძლებლობაც. ტარიფები განსხვავდება ქვეყნებისა და საგზაო მონაკვეთების მიხედვით.

ბელგიაში, გერმანიაში, დანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, კვიპროსში, ლატვიაში, ლიტვაში, ლუქსემბურგში, ფინეთში, შვედეთსა და ჰოლანდიაში, როგორც წესი, ავტობანით სარგებლობა უფასოა, თუმცა არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, გადასახადი ვრცელდება მხოლოდ კონკრეტულ მონაკვეთზე ან ხიდით ან გვირაბით სარგებლობაზე.

ავსტრიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, უნგრეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში მოქმედებს ე. წ. „ვინიეტების“ სისტემა: ყიდულობთ ვინიეტს და აკრავთ საქარე მინაზე, რაც განიჭებთ ავტობანით სარგებლობის უფლებას. ფასი დამოკიდებულია მოქმედების ვადაზე და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

4.8. საბანკო მომსახურება და ფულადი გზავნილები

ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან დაგეხმარებათ საბანკო ანგარიშის ქონა. საბანკო ანგარიშის გასახსნელად, როგორც წესი, დაგჭირდებათ მოქმედი პასპორტი და კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების დამადასტურებელი საბუთი. ეს შეიძლება იყოს რეგისტრაცია, ქირის გადახდის ქვითარი, კომუნალური გადასახადების ქვითარი (სადაც აღნიშნულია თქვენი სახელი, გვარი და მისამართი). ანგარიშის გახსნამდე გაარკვიეთ საცხოვრებლის დამადასტურებელ რომელ საბუთს მიიღებს ადგილობრივი ბანკი და საჭიროა თუ არა რაიმე დამატებითი დოკუმენტი.

ფულის გასაგზავნად ან/და მისაღებად შეიძლება გამოიყენოთ საბანკო გადარიცხვა. თუმცა, საბანკო გადარიცხვა დროსთან და ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამიტომ, მიგრანტები უფრო ხშირად იყენებენ ფულადი გზავნილების სხვა ოპერატორებს მაგალითად, Western Union, MoneyGram, RIA, Sigue Money Transfer, TEMPO. ზემოხსენებულ შემთხვევაში, ანგარიშის ქონა არ არის საჭირო, იგზავნება ნაღდი ფული, გადახდის საკომისიოს იხდის გამგზავნი, საფასური დამოკიდებულია გასაგზავნ თანხაზე. ადრესატს შეუძლია ფულის მიღება იმავე დღეს.

4.9. საფოსტო გზავნილები, ამანათები

საფოსტო მომსახურება შეიძლება დაგჭირდეთ როგორც ქვეყნის შიგნით კომუნიკაციისათვის, ისე ქვეყნის გარეთ, მათ შორის, საქართველოში წერილისა და ამანათის გამოსაგზავნად. ტარიფი დამოკიდებულია გზავნილის წონასა და სახეზე. თუ ირჩევთ რეგისტრირებულ ან/და დაზღვეულ გზავნილს, ტარიფი შედარებით მაღალია.

როგორც წესი, წერილის/გზავნილის ფორმას თავად ირჩევთ, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ თუ აგზავნით წერილს ან სხვა მნიშვნელოვან საბუთს ადმინისტრაციულ ორგანოში, სადაზღვევო კომპანიაში ან სასწავლო დაწესებულებაში, შესაძლოა საჭირო იყოს რეგისტრირებული წერილის გაგზავნა (საფოსტო გზავნილი, რომელიც ფოსტისთვის გადაცემისას რეგისტრირდება და ენიჭება მაიდენტიფიცირებელი ნომერი, იგზავნება თანმხლებ დოკუმენტებზე მიწერით და ადრესატს ბარდება ხელმოწერით). ყურადღება მიაქციეთ, ხომ არ ითხოვს ადრესატი წერილის კონკრეტული ფორმით გაგზავნას და უთხარით ფოსტის თანამშრომელს, როგორი წერილის/გზავნილის გაგზავნა გსურთ.

თუ მარტივ წერილს აგზავნით, განსაკუთრებით ქვეყნის შიგნით, შესაძლოა არც კი დაგჭირდეთ საფოსტო ოფისში მისვლა და გამოიყენოთ ქალაქში განთავსებული საფოსტო ყუთები. ამ შემთხვევაში, თქვენს წერილს უკვე უნდა ჰქონდეს დაკრული მარკა (მარკები შეგიძლიათ შეიძინოთ საფოსტო ოფისებში, ზოგ ქვეყანაში - პატარა მაღაზიებშიც, სადაც ჟურნალ-გაზეთები და თამბაქო იყიდება ან გამოიწეროთ ინტერნეტით), ასევე შეგიძლიათ ისარგებლოთ ე.წ. „წინასწარ გადახდილი“ კონვერტებით, რომლებიც მაღაზიებში იყიდება.

საფოსტო მომსახურებით სარგებლობისას გაითვალისწინეთ მიწოდების დრო, რომელიც განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, თუ საფრანგეთში, გერმანიასა და ესპანეთში ადგილობრივი წერილის/გზავნილის მიწოდებას 2-4 დღე სჭირდება, ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, იტალია, არც ისე სწრაფი საფოსტო მომსახურებით არის ცნობილი.

რაც შეეხება საერთაშორისო გზავნილებს, იკითხეთ, დაახლოებით რამდენ ხანში მიიღებს ადრესატი წერილს/გზავნილს. თუ

გსურთ, წერილი/გზავნილი ადრესატამდე რაც შეიძლება სწრაფად მივიდეს, შეგიძლიათ გამოიყენოთ სპეციალური ექსპრესგზავნილები, რომელთა ტარიფიც შედარებით მაღალია.

ქართველი ემიგრანტები ასევე იყენებენ სხვადასხვა გადამზიდავი კომპანიის მომსახურებას, რომლებიც მიგრანტებს საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო გადაზიდვებს სთავაზობენ. ამგვარი მომსახურება, როგორც წესი, მიგრანტებისთვის უფრო ხელმისაწვდომია. ამ შემთხვევაში, სასურველია გაარკვიოთ, რამდენად სანდოა აღნიშნული კომპანია.

4.10. მომხმარებელთა უფლებები

ევროკავშირის ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, მოვაჭრე ვალდებულია, შეაკეთოს, შეცვალოს, ფასი დააკლოს ან დაიბრუნოს პროდუქცია, რომელიც ნაკლოვანი აღმოჩნდება ან არ აღმოჩნდება ისეთი, როგორიც რეკლამაში იყო წარმოდგენილი. ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლება გაქვთ ნივთის შეძენიდან/მიღებიდან 2 წლის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ თუ შეიძინეთ პროდუქცია ან მომსახურება ინტერნეტით ან მაღაზიის გარეთ, მაგალითად, ტელეფონით, ელფოსტით, „კარიდან-კარზე“ გაყიდვებით, უფლება გაქვთ გააუქმოთ და დააბრუნოთ შეკვეთა 14 დღის განმავლობაში, ნებისმიერი მიზეზით და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. დაბრუნებამდე, პროდუქცია არ უნდა იყოს გამოყენებული. მხოლოდ პროდუქტის უკან გაგზავნა არ არის საკმარისი, გამყიდველს უნდა შეატყობინოთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ. როგორც

წესი, პროდუქციის შეძენისას გადმოგეცემათ/გამოგეგზავნებათ დაბრუნების სტანდარტული ფორმა.

დაბრუნება არ ვრცელდება ყველა სახის პროდუქტზე. მაგალითად, ეს წესი არ ვრცელდება თვითმფრინავის, მატარებლის, კონცერტის ბილეთებზე, ზოგიერთი სასტუმროს ჯავშანზე.

გაითვალისწინეთ, რომ აქ აღწერილია ევროკავშირის წევრებისათვის სავალდებულო საბაზისო წესები; რომელიმე ქვეყნის შიდა კანონმდებლობა შესაძლოა გთავაზობდეთ დაცვის უფრო მაღალ ხარისხსა და უკეთეს პირობებს.

4.11. თავისუფლება და უსაფრთხოება

თუ ევროკავშირის ტერიტორიაზე იმყოფებით ნებართვის გარეშე, ხართ ქვეყნიდან გაძევების რისკის ქვეშ. როგორც წესი, უსაბუთო მიგრანტს ეძლევა გარკვეული დრო ტერიტორიის ნებაყოფლობით დასატოვებლად.

თუ აღნიშნულ ვადაში არ დატოვებთ ქვეყანას, შესაძლოა გამოყენებული იყოს ქვეყნიდან გაყვანის (გაძევების) ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებები უნდა იყოს პროპორციული, არ უნდა აღემატებოდეს ძალის გამოყენების მისაღებ ფარგლებს და უნდა განხორციელდეს ძირითადი უფლებების შესაბამისად, მოქალაქის ღირსებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების პატივისცემით.

მიგრანტს აქვს უფლება გაასაჩივროს დაბრუნებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ან მოითხოვოს მათი გადახედვა. ასევე, შეუძლია მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია, წარმომადგენლობა და, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის დახმარება.

საქართველოში გამომგზავრებამდე შესაძლოა უსაბუთო მიგრანტი მოათავსონ მიგრანტთა დროებითი დაკავების ცენტრში. თითოეული სახელმწიფო განსაზღვრავს დაკავების ვადას, რომელიც რეგულირდება კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით.

დაკავების შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება დაუკავშირდეთ კანონიერ წარმომადგენელს, ოჯახის წევრებსა და საკონსულო დაწესებულებას.

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს, დაკავების გასაუქმებლად და მოითხოვოთ კომპენსაცია, თქვენ წინააღმდეგ წარმოებული შესაძლო ადმინისტრაციული გადაცდომებისთვის. ამ შემთხვევაში, სასურველია, გყავდეთ ადვოკატი.

გახსოვდეთ!

- *ევროკავშირის ტერიტორიაზე უნებართვოდ ყოფნას შესაძლოა მოჰყვეს ტერიტორიიდან გაძევება და შესვლის აკრძალვა, 5 წლამდე ვადით;*
- *ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ შესაძლოა დაგაკისროთ ადმინისტრაციული ჯარიმა 3 000 ევრომდე ოდენობით;*
- *ტერიტორიიდან გაძევების შემთხვევაში, თქვენი მონაცემები მოხვდება შენგენის საინფორმაციო სისტემის (SIS II) ელექტრონულ ბაზაში და დარეგისტრირდება შეტყობინება შენგენის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის თქმის შესახებ, რაც ხელს შეგიშლით შემდგომში შენგენის სივრცის საზღვრის გადაკვეთაში.*

4.12. დაბრუნება და რეინტეგრაცია

4.12.1. დაბრუნების სახეები

მიგრანტი შეიძლება სამშობლოში დაბრუნდეს ნებაყოფლობით, რეადმისიის ან დეპორტაციის გზით.

ა) ნებაყოფლობითი დაბრუნება – პირის წარმოშობის, სატრანზიტო ან მესამე ქვეყანაში დამოუკიდებლად დაბრუნება ან ხელშეწყობა დაბრუნებაში, მისი თავისუფლად გამოხატული სურვილის საფუძველზე.

ბ) რეადმისია – სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა ამ ქვეყნის იმ მოქალაქის, მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ქვეყანაში განმეორებით შესვლაზე, რომელიც სათანადო ნებართვის გარეშე შევიდა ან იმყოფება სხვა ქვეყანაში. 2011 წლის 1 მარტიდან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოქმედებს რეადმისიის შეთანხმება.

გ) დეპორტაცია – უცხოელის გაძევება ქვეყნის ტერიტორიიდან, რაც, როგორც წესი, დარჩენაზე ან ბინადრობის ვადის გახანგრძლივებაზე უარის თქმის შემდეგ ხდება. დეპორტაცია გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც უცხოელი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს საზოგადოებრივ წესრიგს.

4.12.2. დასაბრუნებლად საჭირო საბუთები

საქართველოში დასაბრუნებლად უნდა გქონდეთ საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან დასაბრუნებელი მოწმობა.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადის ამოწურვის ან პასპორტის დაკარგვის შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამის ქვეყანაში საქართველოს საკონსულო სამსახურს.

დასაბრუნებელი მოწმობა არის დროებითი სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ საზღვრის გადაკვეთისათვის საჭირო დოკუმენტი ვადაგასული, დაკარგული ან უვარგისია (მაგალითად, დაზიანებულია), ან ასეთი დოკუმენტი არ არსებობს. დასაბრუნებელი მოწმობის მისაღებად უნდა მიმართოთ შესაბამის ქვეყანაში არსებულ საქართველოს საკონსულო სამსახურს.

4.12.3. დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა და შესაბამისი სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს (საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვით), რომლებიც:

- **საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ხნის ვადით, ან საზღვარგარეთ ჰქონდათ შეტანილი განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ თავშესაფრით;**
- **სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში დარეგისტრირდებიან საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამაში.**

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია ბენეფიციარებისთვის შემდეგი სერვისების მიწოდება:

ა) სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება:

- **მწვავე, ქრონიკული, სიცოცხლისთვის საშიში დაავადების მქონე პირების საჭირო დიაგნოსტიკით უზრუნველყოფა. საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაფინანსება და სათანადო მედიკამენტებით უზრუნველყოფა;**

- **ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია.**

ბ) სოციალური პროექტების დაფინანსება:

- **შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით, სოციალური პროექტების დაფინანსება.**

გ) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის ხელშეწყობა:

- **ინდივიდუალურად – ბენეფიციარის ცოდნის, კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევებისა და ინტერესების გათვალისწინებით, პროფესიული სწავლების მიმართულების გამოკვეთა და ბენეფიციარისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით.**

დ) საცხოვრისით დროებითი უზრუნველყოფა:

- **უსაბუთო ემიგრანტის დაბრუნებისთანავე, საჭიროების შემთხვევაში, სამინისტროს წარმომადგენლების მიერ, მისი არაუმეტეს 4 ღამით დროებითი განთავსების უზრუნველყოფა.**

პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

მის.: თამარაშვილის ქ. 15ᵃ, 0177, თბილისი

ტელ.: (+995) 32 243 11 00; (+995) 32 231 13 37

ელ. ფოსტა: reintegration@mra.gov.ge

ვებ-გვერდი: www.mra.gov.ge

2017 წლის სახელმწიფო პროგრამას, სამინისტროსთან ერთად, ახორციელებენ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ფარავენ სხვადასხვა რეგიონს:

თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი
საზოგადოებრივი დამცველი	სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ასოციაცია „ტოლერანტი“	ფონდი „აფხაზინტერკონტი“
მის.: გ.ჩუბინაშვილის 57, თბილისი ტელ.: (+995)322969120; 591573737; 558 23 37 86 ელ. ფოსტა: georgian.geocoalition@yahoo.com	მის.: რუსთაველის ქ., 47, ახალციხე ტელ.: (+995)599513622 ელ. ფოსტა: tsirameskh@gmail.com	მის.: ნინოშვილის ქ. 27, ქუთაისი ტელ.: (+995)431264861 /62; 593696966 ელ. ფოსტა: tatia_8660@yahoo.com
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**აჭარა, გურია**	**კახეთი**
ფონდი „აფხაზინტერკონტი“	წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი	კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი
მის.: თაბუკაშვილის 21, ზუგდიდი ტელ.: (+995)593307979 ელ. ფოსტა: tskhvedo@mail.ru	მის.: მელიქიშვილის 6, ბათუმი ტელ.: (+995)593246196; 599465952 ელ. ფოსტა: nanagorgiladze@yahoo.com	მის.: ჩოლოყაშვილის 52, ახმეტა ტელ.: (+995)349225277; 599967179 ელ. ფოსტა: krdf@krdf.ge

4.13. ეს საინტერესოა!

TAX FREE & REFUND – პროდუქციაზე გადახდილი თანხის ნაწილის დაბრუნება

ევროპაში, პროდუქტების ფასების უმრავლესობა შეიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგ) – VAT (value-added tax), რომელიც 15%-დან 20%-მდე მერყეობს. თუმცა, ევროკავშირის დატოვებისას, გაქვთ შესაძლებლობა დაიბრუნოთ გადახდილი დღგ-ს ნაწილი. ეს შესაძლებლობა ვრცელდება იმ ადამიანებზე, რომელთაც მუდმივი საცხოვრებელი ევროკავშირის გარეთ აქვთ.

გაითვალისწინეთ, რომ ქვეყნები აწესებენ ნავაჭრის მინიმალურ ოდენობას, რომლის ზემოთაც შესაძლებელია თანხის დაბრუნება.

გახსოვდეთ, რომ პროდუქციის შეძენასა და თანხის მოთხოვნას შორის არ უნდა იყოს გასული 3 თვეზე მეტი.

ევროკავშირში სამოგზაუროდ ყოფნის შემდეგ, გადახდილი დღგ-ს ნაწილის დასაბრუნებლად:

ა) გამოიყენეთ შესაბამისი მაღაზიის თანხის დაბრუნების დოკუმენტი.

ასეთი დოკუმენტი შეგიძლიათ მოიპოვოთ მაღაზიებში, რომლებსაც ფასადზე აქვთ წარწერა, მაგალითად, „Tax Free Shopping“ (გადასახადისგან გათავისუფლებული ვაჭრობა) ან სხვა მსგავსი.

ეს გახლავთ ყველაზე მარტივი და სანდო მეთოდი: მაღაზია გაძლევთ „გადასახადისგან გათავისუფლებული ვაჭრობის“ ჩეკს, თქვენ მიერ შეძენილი საქონლისა და თქვენი საპასპორტო მონაცემების აღნიშვნით, რომელსაც წარადგენთ ევროკავშირის დატოვებისას, აეროპორტის საბაჟო სამსახურში. ბეჭდით დამოწმებული ჩეკ(ებ)ი შემდგომ უნდა მიიტანოთ აეროპორტშივე არსებულ

Tax Refund კიოსკში, სადაც დაიტოვებენ აღნიშნულ ჩეკ(ებ)ს და გააფორმებენ დოკუმენტაციას კუთვნილი თანხის ჩასარიცხად თქვენს საბანკო ანგარიშზე (რაც, ჩვეულებრივ, რამდენიმე დღეში უნდა განხორციელდეს). იმ აეროპორტებში, სადაც მსგავსი მომსახურების კიოსკი არ არსებობს, მოწყობილია სპეციალური საფოსტო ყუთი, სადაც შეგიძლიათ მოათავსოთ შესაბამისი ჩეკები. ჩეკების ელექტრონული ფორმების გაგზავნა ასანაზღაურებლად შესაძლებელია სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც. ანაზღაურების მიღება შეგიძლიათ საკუთარ Visa, MasterCard ან სხვა პლასტიკურ საბანკო ბარათზე, მათ შორის, თქვენს ეროვნულ ვალუტაში.

Global Blue („გლობალ ბლუ“) წარმოადგენს დღგ-ს დაბრუნების მომსახურე გლობალურ ქსელს, რომელიც 37 ქვეყნის 270 000-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს. ასევე, ფუნქციონირებს Premier-Tax Free („პრემიერ ტაქს-ფრი“) სისტემა, რომელიც 29 ქვეყანაში 75 000 კომპანიას წარმოადგენს.

შენიშვნა:

თქვენ არ წყვეტთ, რომელი მომსახურებით ისარგებლებთ. ამას გამყიდველი კომპანია აკეთებს, ამიტომ თქვენი „გადასახადისგან გათავისუფლებული ვაჭრობის ჩეკი“ უნდა წარუდგინოთ იმ კომპანიას, რომელიც თავად ამ ჩეკში იქნება მითითებული.

ბ) დაიბრუნეთ თანხა უშუალოდ მაღაზიისგან, რომელშიც შეიძინეთ პროდუქცია.

მოითხოვეთ დღგ-ის დაბრუნების მოთხოვნის ფორმა, დაამოწმებინეთ ის საბაჟო მოსამსახურეს ევროკავშირის დატოვებისას,

შემდეგ კი გაუგზავნეთ დოკუმენტი მაღაზიას. თუმცა, მანამდე დარწმუნდით, რომ მაღაზიას სურს თანხის დაბრუნება ამ გზით შემოგთავაზოთ.

გაითვალისწინეთ:

შედარებით მცირე მოცულობის ტრანზაქციებისთვის, უცხოური ვალუტის ჩეკში აღნიშნული ღირებულება შეიძლება აჭარბებდეს დასაბრუნებელ ოდენობას. მიუხედავად ამისა, ეს მეთოდი ხელსაყრელია უფრო ძვირი შენაძენების შემთხვევაში ან ისეთ შემთხვევებში, თუკი გამყიდველი თანახმა იქნება, ჩეკის თქვენთვის გამოგზავნის ნაცვლად, დასაბრუნებელი თანხა ელექტრონულად განათავსოს თქვენს საბანკო ბარათზე. ასეთ დროს, თქვენი ბანკი ავტომატურად დააკონვერტირებს თანხას თქვენთვის სასურველ ვალუტაში.

გ) გადაიხადეთ პროდუქტის ღირებულება საკრედიტო ბარათით და სთხოვეთ მაღაზიას, მოგაწოდოთ გადახდის ორი დოკუმენტი: ერთში აისახება დღგ-ს გამოკლებით დარჩენილი საფასური, მეორეში კი თავად დღგ-ს ოდენობა.

მაღაზია დაიტანს უფრო ძვირადღირებული ტრანსაქციის თანხას, მაგრამ დღგ-ის ოდენობას განცალკევებით აღნიშნავს. როდესაც საბაჟოდან მიიღებთ დღგ-ის მოთხოვნის დამოწმებულ ფორმას, გაგზავნეთ იგი მაღაზიაში და იგი გააუქმებს დღგ-ს გადასახადის ფორმას, საგადასახადო ორგანოებში მისი წარდგენის გარეშე. ამ მეთოდს ყველა მაღაზია არ იყენებს. ძირითადად, ეს გზა მოქმედებს ისეთ სავაჭრო ობიექტებში, რომლებიც საკრედიტო ტრანზაქციებს თავად აწარმოებენ.

მნიშვნელოვანია:

დღგ-ის თანხის დაბრუნებაზე ზრუნვისას, არ დაელოდოთ სამშობლოში დაბრუნებას. კარგად შეისწავლეთ, როგორ მუშაობს გადასახადისგან გათავისუფლებული ვაჭრობა, როგორ მოითხოვოთ შესაბამისი ჩეკები და შესავსები ფორმები, როდესაც რაიმეს ყიდულობთ. ამასთან, აუცილებლად დაამოწმებინეთ ჩეკები და ფორმები ადგილობრივი საბაჟო სამსახურის წარმომადგენელს, სანამ დატოვებთ ევროკავშირს.

5. სასარგებლო ინფორმაცია

5.1. საქართველოს საკონსულო დაწესებულებები ევროკავშირისა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებში

ქვეყანა	მდებარეობა	მისამართი	ტელეფონი	ელ. ფოსტა
ავსტრია	ვენა, ავსტრია	Marokkanergasse 18/1, A-1030	(+431)7103611	consulate@ geomission.at
ბელგია და ლუქსემბურგი	ბრიუსელი, ბელგია	Rue Père Eudore Devroye 245, 1150 Woluwe Saint Pierre	(+322)7328550, (+322)2806686	belgium. consulate@mfa. gov.ge
ბულგარეთი	სოფია, ბულგარეთი	65, Krichim str., Lozenets 1164	(+3592)8685404	bulgaria.emb@mfa. gov.ge
დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო	ლონდონი, დიდი ბრიტანეთი	4 Russell Gardens, London W14 8EZ	(+44207)3481942	london.con@mfa. gov.ge
გერმანია (საკონსულო)	ბერლინი, გერმანია	Rauchstrasse 11, 10787	(+4930)48490719	berlin.konsulat@ mfa.gov.ge
გერმანია (გენერალური საკონსულო)	მაინის ფრანკფურტი, გერმანია	Bockenheimer Landstrasse 97-99. 60325	(+490)6997671137	frankfurt.con@mfa. gov.ge
დანია	კოპენჰაგენი, დანია	Nybrogade 10, 1 st floor, 1203, Copenhagen K	(+45)39110002	copenhagen.emb@ mfa.gov.ge
ესპანეთი (საკონსულო)	მადრიდი, ესპანეთი	Plaza de las cortes 4,o 5, 28014	(+3491)4290155, (+3491)4203589	consuladogeo. madrid@mfa. gov.ge

ესპანეთი (გენერალური საკონსულო)	ბარსელონა, ესპანეთი	C/Muntaner 48-50 3-1, 08011	(+3468)7661274	barcelona.con@ mfa.gov.ge
ესტონეთი	ტალინი, ესტონეთი	Viru valjak 2. Tallinn 10 111	(+372)6988590	tallinn.emb@mfa. gov.ge
ირლანდია	დუბლინი, ირლანდია	17 Morehampton Road, Donnybrook, Dublin 4	(+353)19059191, (+353)15311190	dublin.con@mfa. gov.ge
იტალია და მალტა	რომი, იტალია	Corso Vittorio Emanuele II, 21 Scala A, piano III, 00186	(+3906)69941972	amgeorgia@ libero.it, rome.emb@mfa. gov.ge
კვიპროსი	ნიქოზია, კვიპროსი	Themistocles Dervis 46, 1066	(+357)22592233, (+357)22357327	geoembassy@ cytanet.com.cy, nikosia.emb@mfa. gov.ge
ლატვია	რიგა, ლატვია	Raina bulv. 3-19, Riga, Latvija LV-1050	(+371)7225812	riga.emb@mfa. gov.ge
ლიტვა	ვილნიუსი, ლიტვა	13 Poskos St.	(+370 5)2736959	consulate@ georgia.w3.lt
ნიდერლანდები	ჰააგა, ნიდერლანდები	Groot Hertoginnelaan 28, 2517 EG Den Haag	(+3170)3029081	thehague.emb@ mfa.gov.ge
ნორვეგია	ოსლო, ნორვეგია	Pilestredet 15B, 0164	(+47)23201699	oslo.emb@mfa. gov.ge
პოლონეთი	ვარშავა, პოლონეთი	Bernenska Str. N6	(+4822)6166225	warsaw.emb@mfa. gov.ge
პორტუგალია	ლისაბონი, პორტუგალია	Rua Fernão Soares 6-A, 1400-149	(+351)213017270	lisbon.con@mfa. gov.ge

სახელმძღვანელო მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია "სიდას" მიერ, პროექტის "პარტნიორობა მიგრანტთა უფლებებისთვის" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება "ღია საზოგადოების ფონდების" ფინანსური მხარდაჭერით.

სახელმძღვანელო შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან თანამშრომლობით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ "სიდა".

რუმინეთი	ბუქარესტი, რუმინეთი	16, Herastrau Str. Sector 1, 011981	(+4021)2100602, (+4021)2100604	romania.emb@mfa.gov.ge; embgeoromania@yahoo.com
საბერძნეთი (საკონსულო)	ათენი, საბერძნეთი	27, Taygetoy St., 154 52 Paleo Psychiko	(+30)2107489180, (+30)2107711317	athens.emb@mfa.gov.ge
საბერძნეთი (გენერალური საკონსულო)	სალონიკი, საბერძნეთი	Themistokli Sofouli str. 3	(+30)2310429009	saloniki.con@mfa.gov.ge
საფრანგეთი	პარიზი, საფრანგეთი	104, Avenue Raymond Poincare, 75116	(+331)45021616	ambassade.georgie@mfa.gov.ge
სლოვაკეთი	ბრატისლავა, სლოვაკეთი	Michalska 9, 811 01 Bratislava 1	(+4212)54646484	bratislava.emb@mfa.gov.ge
სლოვენია	ლიუბლიანა, სლოვენია	Cankarjeva cesta №7	(+386)83826598	ljubljana.emb@mfa.gov.ge
უნგრეთი და ხორვატია	ბუდაპეშტი, უნგრეთი	H-1125 Budapest, Virányos út 6/b	(+361)2023390, (+361)2023388	budapest.emb@mfa.gov.ge
ფინეთი	ჰელსინკი, ფინეთი	Itäinen Teatterikuja 1 E 29, 00100	(+3589)68771500	helsinki.emb@mfa.gov.ge
შვედეთი	სტოკჰოლმი, შვედეთი	Humlegårdsgatan 19, 1st fl, 114 46	(+46)86780260	geoemb.sweden@telia.com
შვეიცარია და ლიხტენშტაინი	ბერნი, შვეიცარია	Seftigenstrasse 7, 3007	(+4131)3515855	bern.con@mfa.gov.ge
ჩეხეთი	პრაღა, ჩეხეთი	Mlýnská 22/4 160 00 Praha 6 – Bubeneč	(+420)233311749, (+420)233311751	prague.emb@mfa.gov.ge

5.2. საგანგებო სიტუაციებში დახმარების მიღება

დახმარება გჭირდებათ? – 112 ევროპის ქვეყნებში მოქმედი გადაუდებელი დახმარების უნიკალური ნომერია. ამ ნომერზე შეგიძლიათ უფასოდ დარეკოთ ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნიდან, როგორც ფიქსირებული ტელეფონის, ისე – მობილურის საშუალებით და გამოიძახოთ:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- პოლიცია;
- სახანძრო.

დანიაში, ესტონეთში, მალტაში, პორტუგალიაში, რუმინეთში, ფინეთში, შვედეთსა და ჰოლანდიაში 112 არის საგანგებო სიტუაციებისთვის განკუთვნილი ერთადერთი ნომერი. ევროპის სხვა ქვეყანაში კი, 112-თან ერთად, მოქმედებს ეროვნული ნომრებიც:

ავსტრია

122 – სახანძრო

128 – ბუნებრივ გაზთან დაკავშირებული გადაუდებელი სიტუაცია

133 – პოლიცია

140 – მთის სამაშველო სამსახური

141 – ექიმები

142 – სატელეფონო კონსულტაცია

144 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სამაშველო სამსახური

147 – სასწრაფო დახმარება ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის

ბელგია

100 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სახანძრო

101 – პოლიცია

ბულგარეთი

150 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება

166 – პოლიცია

160 – სახანძრო

გერმანია

110 – პოლიცია

112 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება; სახანძრო

დიდი ბრიტანეთი

999 – საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი ნომერი

ესპანეთი

091 – პოლიცია

061 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება

080 – სახანძრო

092 – ადგილობრივი პოლიცია

ირლანდია

999 – საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი ნომერი

იტალია

113 – პოლიცია

115 – სახანძრო

118 – პირველადი დახმარება

კვიპროსი

199 – საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი ნომერი

ლატვია

01 – სახანძრო

110 და 02 – პოლიცია

113 და 03 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება

114 და 04 – გაზთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაცია

ლიტვა

01 – სახანძრო

02 – პოლიცია

03 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება

ლუქსემბურგი

113 – პოლიცია

პოლონეთი

999 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება

998 – სახანძრო

997 – პოლიცია

საბერძნეთი

100 – პოლიცია

199 – სახანძრო

166 – სასწრაფო სამედიცინო მომსახურება

108 – სანაპირო დაცვა

197 – სასწრაფო სოციალური დახმარება

საფრანგეთი

15 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება

17 – პოლიცია

18 – სახანძრო

119 – ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში

116000 – დაკარგული ბავშვის შემთხვევაში

სლოვაკეთი

150 – სახანძრო

155 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება

158 – პოლიცია

სლოვენია

113 – პოლიცია

უნგრეთი

104 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება

105 – სახანძრო, სამაშველო სამსახური

107 – პოლიცია

ჩეხეთის რესპუბლიკა

150 – სახანძრო

155 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სამაშველო სამსახური

156 – პრაღის პოლიცია

158 – პოლიცია

ხორვატია

192 – პოლიცია

193 – სახანძრო

194 – სასწრაფო სამედიცინო დახმარება

195 – საზღვაო სამაშველო სამსახური

1987 – საგზაო დახმარება

5.3. სასარგებლო ბმულები

5.3.1. ევროკავშირის შესახებ

პორტალზე www.europa.eu, ნახავთ ინფორმაციას ევროკავშირში ცხოვრების, მუშაობის, მოგზაურობისა და ბიზნესის კეთების შესახებ.

5.3.2. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტიპენდიების შესახებ

სასარგებლო ინფორმაცია სასწავლო პროგრამებისა და სტიპენდიების შესახებ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში: www.ec.europa.eu/education/study-in-europe;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.mes.gov.ge, რუბრიკაში „უმაღლესი განათლება“ → „სწავლა საზღვარგარეთ“ ნახავთ ინფორმაციას საქართველოს მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი სტიპენდიების შესახებ საზღვარგარეთ, მათ შორის ევროპის ქვეყნებში განათლების მისაღებად;

ევროკავშირის პროგრამის „Erasmus+“ საქართველოს ეროვნული ოფისის ვებ-გვერდი: www.erasmusplus.org.ge;

სტიპენდიების საძიებო ქართული რესურსი: www.progeorgia.ge.